შ.პ.ს. "გრუსია" L.T.D. „GRUSIA"
ქ.თბილისი,0194 ბახტრიონის ქ.№35.ტელ:(995 32)36-72-22 ფაქსი:(995 32)36-04-65
Tbilisi,0194 Bakhtrioni str.35.tel:(995 32)236-72-22 fax:(995 32)236-04-65

20 ნოემბერი 2015წ.

მინდობილობა № 14

შპს "გრუსია"-ს (ს/კ 238121297, იურიდიული მისამართი საქართველო, საგარეჯოს რ-ნი სოფ. ხაშმი) დირექტორი ბესარიონ მერმანიშვილი ამ მინდობილობით შპს "გრუსია"-ს არქიტექტორს კობა ძლიერაშვილს პირადი №35001005358, მისამართი ქ. რუსთავი, 1 მაისის ქ. კორპ. 25, ბ-8 (შემდგომში "რწმუნებული") ვანიჭებ უფლებამოსილებას შემდეგზე:

"რწმუნებული" უფლებამოსილია შპს "გრუსია"-ს სახელით მიმართოს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე, საქართველოს და იაპონიის მთავრობებს შორის არსებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში არსებული "მზის ელექტროენერგიის გამომუშავების სისტემების მეშვეობით სუფთა ენერგიის დანერგვის პროექტით" (შემდგომში "პროექტი") გათვალისწინებული, მზის პანელების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებისთვის საჭირო ნებართვის მისაღებად, კერძოდ იმოქმედოს, როგორც დამკვეთმა და შპს "გრუსია"-ს სახელით წარადგინოს, ხელი მოაწეროს ნებისმიერი სახის დოკუმენტს და ასევე განახორციელოს სხვა მოქმედებები, რომელიც საჭიროა ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

მინდობილობა გაცემულია 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

შ.პ.ს. "გრუსია"-ს დირექტორი ბესარიონ მერმანიშვილი

მინდობილობა

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დავით აფრასიძე (დაბ.15.06.1976წ. პირადი №01026006248, შემდგომში მარწმუნებელი)როგორც სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი (მის:0161 ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის 3-5) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 21-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში, ანიჭებს შპს ,,გრუსიას"(ს/კ 238121297) არქიტექტორს, კობა ძლიერიშვილს, (შემდგომში „რწმუნებული") პირადი # 35001005358, მისამართი: ქ. რუსთავი, 1 მაისის ქ.კორ.25 - ბ.8, შემდგომში რწმუნებული) უფლებამოსილებას შემდეგზე:

რწმუნებული - უფლებამოსილია წარმოადგინოს უნივერსიტეტი თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში და უნივერსიტეტის სახელით მიმართოს სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს რათა გააკეთოს განაცხადი სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მზის პანელების მონტაჟის ნებართვის მისაღებად, რომელიც ხორციელდება 2010 წლის 2 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული შეთანხმების- საქართველოს მთავრობასა და იაპონიის მთავრობას შორის იაპონური საგრანტო დახმარების მიზნით პროექტის ,,მზის ელექტროენერგიის გამომუშავების სისტემის მეშვეობით სუფთა ენერგიის დანერგვის" ფარგლებში. განახორციელოს ყველა პროცედურა განაცხადთან დაკავშირებულ საკითხებზე, წარადგინოს დოკუმენტები და მიიღოს მათზე პასუხი.

ასევე, ზემოთ ხსენებულ სამშენებლო ტერიტორიაზე არსებულ ხეების მოჭრას, გადარგვასა თუ სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებულ პროცედურასთან დაკავშირებით მიმართოს შესაბამის მუნიციპალურ ორგანოს და განახორციელოს ამ საკითხთან დაკავშირებული პროცედურები და ხელმოწერები.

2. მინდობილობა ძალაშია 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დავით აფრასიძე

ორიათას თხუთმეტი წლის ცხრამეტ ნოემბერს, მე, ნოტარიუსს ინგა ხარძიანს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისში, დ. გამრეკელის (კუტუზოვის) ქ. №6, პირველ სართულზე მომმართა დავით აფრასიძემ (პირადი №01026006248), მთხოვა გამოვცხადებულიყავი და სანოტარო მოქმედება შემესრულებინა მისამართზე: ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის 3-5 (სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში). მე ვეახელი დავით აფრასიძეს აღნიშნულ მისამართზე, სადაც დავით აფრასიძემ წარმოადგინა წინამდებარე მინდობილობა ოთხ ეგზემპლარად და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერების ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებული დოკუმენტით: **დავით აფრასიძე** - დაბ. 15.06.1976წ. თბილისში, პირადი №01026006248, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი ზ. ფანასკერტელის ქ. კორ. 16 ბ. 53. მე დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა, განვუმარტე ხელმოწერის სამართლებლივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ ნოტარიუსი პასუხს არ აგებს წინამდებარე დოკუმენტის შინაარსზე, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე დოკუმენტს, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია სანოტარო საზღაური თანახმად 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილება №507, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ დადგენილების 31-ე მუხლისა გადახდილია რვა ლარი, 34-ე მუხლის მე-2 პუნქტისა (სანოტარო მოქმედების სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებისათვის ოცი ლარი) (აგრეთვე დ.ღ.გ 5.04 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახდო კოდექსის 169-ე მუხლისა) და 39-ე მუხლისა რეგისტრაციის საფასური ორი ლარი (დ.ღ.გ ჩათვლით), სულ გადახდილია ოცდათხუთმეტი ლარი და ოთხი თეთრი.

ნოტარიუსი /ინგა ხარძიანი/.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N151267498
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	19.11.2015 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ინგა ხარძიანი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, დ. გამრეკელის (კუტუზოვის) ქ. #6, პირველი სართული
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2308930; მაგთი ფიქსი: 790761651; მობ: 599502834;
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	06527553620015

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18